ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის კომენტარები ემს-ს მიერ მიღებულ დოკუმენტთან – „ომი უკრაინაში, მშვიდობა და სამართლიანობა ევროპის რეგიონში“ – დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 08.09.2022*. მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მეთაური ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალურ ასამბლეაზე ქ. კარლსრუეში (გერმანია), ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი კომენტარებით გამოვიდა ემს-ს მიერ მიღებულ შემდეგ დოკუმენტთან დაკავშირებით: „ომი უკრაინაში, მშვიდობა და სამართლიანობა ევროპის რეგიონში“*

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ ვერ შეძლო მხარი დაეჭირა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეაზე კენჭისყრით მიღებული დოკუმენტისთვის – „ომი უკრაინაში, მშვიდობა და სამართლიანობა ევროპის რეგიონში“.

ამასთან, ჩვენ ფრთხილი ოპტიმიზმით ვეკიდებით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოზიციას, რომელმაც უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით დოკუმენტზე მუშაობისას უარი თქვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისამართით ნებისმიერ ბრალდებაზე – მიუხედავად უპრეცედენტო პოლიტიკური ზეწოლისა (რომელიც მათ შორის გამოიხატა ასამბლეაზე გფრ-ს პრეზიდენტის ფ-ვ. შტაინმაიერის გამოსვლაში და სხვა რიგი პირების განცხადებებში რუსეთის ეკლესიის გარიცხვის მოწოდებით ემს-დან) – და აღიარა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს კურთხევით მისი მასშტაბური ჰუმანიტარული მისიის მნიშვნელობა ლტოლვილებისა და კონფლიქტის მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

სამწუხაროდ, ფინალური დოკუმენტი მნიშვნელოვანწილად პოლიტიზირებული დარჩა. მასში არ იქნა შეტანილი რუსეთის ეკლესიის ყველა წინადადება, რაც ხელს გვიშლის განვაცხადოთ მისი მხარდაჭერის შესახებ. იმავდროულად, ვიმედოვნებთ, რომ ასამბლეის ფარგლებში გამართული დისკუსია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთვის შეიძლება ათვლის წერტილად იქცეს უკრაინის მრავალწლიანი კონფლიქტის ობიექტური და პირუთვნელი შესწავლისთვის, ასევე, შემდგომი სამშვიდობო ძალისხმევისთვის.

ასევე, ვწუხვართ იმის გამო, რომ დოკუმენტის შედგენისას არ იქნა გათვალისწინებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა წინადადება, დაეგმოთ მასობრივი ძალადობრივი მიტაცებები კანონიკური ეკლესიის ტაძრებისა, რასაც ე.წ. „მეუ“ ახორციელებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ გადადგმული იქნება შედგომი ნაბიჯები ამ საკითხის შესასწავლად.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89613/